



სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ ანგარიში 2020 წელს განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობის თაობაზე

ანგარიშის დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ covid – 19 პანდემიით გამოწვეულმა ვითარებამ ხელი შეუშალა დაწესებულებას მიეღწია 2020 წელს დასახული მიზნებისათვის და აქტივობათა დიდი ნაწილი ვერც კი განხორციელდა, თუმცა ახალმა რეალობამ სხვა, დაუგეგმავი მიმართულებებით წარმართა კოლეჯის საქმიანობა. შესაბამისად, ანგარიშში აღწერილია 2020 წელს კოლეჯის მიერ გაწეული დაგეგმილი თუ დაუგეგმავი აქტივობები, მიღებული შედეგები და არსებული გამოწვევები.

I - სასწავლო პროგრამების განვითარება დ განხორციელება

1.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება/მიდგომის ცვლილება

2020 წელს კოლეჯმა განხორციელების მიდგომა შეცვალა სამ პროგრამაზე: „სასტუმრო მომსახურება“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „კონდიტერია“. კერძოდ:

- კოლეჯმა მოიპოვა უფლება მოდულური მიდგომით, კოლეჯში განახორციელოს „კონდიტერიის“ პროგრამა;
- კოლეჯმა მოიპოვა უფლება ინტეგრირებული მიდგომით განახორციელოს მოდულური პროგრამა - „სასტუმრო მომსახურება“;
- კოლეჯმა მოიპოვა უფლება ინტეგრირებული მიდგომით განახორციელოს მოდულური პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“.

პანდემიიდან გამოწვეული ვითარების გამო ვერ მოხერხდა მოდულური პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გრემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ დამატება, ვინაიდან ვერ მოხერხდა შესყიდვების პროცედურების განხორციელება.

ასევე, დაგეგმილი იყო ყველა ზემოაღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდა. მაგრამ ავტორიზაციის ახალი დებულებით გაწერილი რეგულაციებიდან გამომდინარე ახალი წარმოებების განხორციელება ანკეტა- კითხვარის შევსების ვადების პერიოდში ვერ მოესწრო და მიღებულია გადაწყვეტილება

„კონდიტერიის“, „სასტუმრო მომსახურებისა“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ მოდულურ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდა განხორციელდეს 2021 წელს.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ვერ დასრულდა შუახევის მისამართზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. შესაბამისად, შუახევის მისამართზე დაგეგმილი პროგრამების დამატებაც ვერ განხორციელდა და 2021 წლისათვის გადაიდო.

1.2. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატება

2020 წელს კოლეჯმა დაიმატა 9 პროფესიული მომზადების პროგრამა:

- „კერძების მომზადების ტექნოლოგია“
- „ბარის ორგანიზება და ფუნქციონირება“
- „სასტუმრო დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ (პარტნიორები: სასტუმროები: „ჰილტონ ბათუმი“, „რედისონ ბლუ ბათუმი“, „ვინდამ ბათუმი“)
- „სერვისი და სერვირება“ (პარტნიორები: სასტუმროები: „ჰილტონ ბათუმი“, „რედისონ ბლუ ბათუმი“, „ვინდამ ბათუმი“)
- „ჰიგიენა და სანიტარული ნორმები“
- „ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია“ (პარტნიორები: სამკერვალო ფაბრიკები: „ბათუმი ტექსი“ და „ფასთ თრექ ტექსტილ“)
- „საარმატურე სამუშაოები“ (პარტნიორები: სამშენებლო კომპანიები: „ანაგი“, „დს კონსტრაქშენი“, „სევენ სთარი“)
- „ყალიბების მოწყობა მშენებლობის პროცესში და ყალიბში ბეტონის ჩაწყობა“ (პარტნიორები: სამშენებლო კომპანიები: „ანაგი“, „დს კონსტრაქშენი“, „სევენ სთარი“)
- „ინფორმაციის ტექნოლოგიის საფუძვლები“

მათ შორის, „ინფორმაციის ტექნოლოგიის საფუძვლები“ სრულად შემუშავდა პანდემიის დროს და იგი ისეა აგებული, რომ მისი განხორციელება სრულად დისტანციურად (ელექტრონულად) არის შესაძლებელი.

1.3 სასწავლო პროცესი და დისტანციური სწავლების შესაძლებლობები

2020 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით კოლეჯში 332 სტუდენტია, მათ შორის 27 სსსმ პირი. 2020 წლის მიღებაზე კოლეჯში ჩაირიცხა 165 პროფესიული სტუდენტი.

2020 წელს კოლეჯი დაასრულა პროფესიულ სტუდენტთა მცირე ოდენობამ - მხოლოდ 30 კურსდამთავრებული, რადგან სწავლა შეჩერებულია 2018 და 2019 წლებში ჩარიცხული ჯგუფების უმრავლესობასთან.

2020 წლის მარტის თვეში შეწყდა სასწავლო პროცესი და მისი ნაწილობრივ აღდგენა შესაძლებელი გახდა ივნისის თვეში. სასწავლო პროცესი აღდგა იმ ჯგუფებში, რომელთა დასრულებას მხოლოდ რამდენიმე თვე აკლდა და მოხერხდა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და რამდენიმე პროგრამის ფარგლებში სწავლების დასრულება: „კულინარიის ხელოვნება“, „ბარტენდერი“, „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ და „ინფორმაციის ტექნოლოგია“.

პანდემიიდან გამომდინარე დააწესებულა არა ერთი გამოწვევის წინაშე დადგა:

გამოწვევა 1- გამოცდილების არქონა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით

პრობლემის გადაჭრა- შემუშავდა რეგულაცია დისტანციურად სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით. გაანალიზდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის შედეგების დისტანციურად მიღწევის შესაძლებლობასთან მიმართებით. შემუშავდა რეგულაციები პანდემიურ ვითარებაში სწავლების მიდგომების განსხვავებულად განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. დისტანციური სწავლებისა და შეფასების მიმართულებით ტრენინგები გაიარა 36 თანამშრომელმა.

გამოწვევა 2 - დუალური პროგრამების ფარგლებში პარტნიორი კომპანიების მიერ ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება/შეწყვეტა

პრობლემის გადაჭრა - განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე დადგა დუალური პროგრამები პარტნიორი კომპანიების მიერ ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება/შეწყვეტიდან გამომდინარე. პროფესიული სტუდენტების შენარჩუნება მოხერხდა სასტუმროს „ჰილტონ ბათუმი“ მხარდაჭერით, სადაც განხორციელდა 10 პროფესიული სტუდენტის მოხილობა.

გამოწვევა 3 - პარტნიორი კომპანიებიდან პროგრამის განმახორციელებელი - ინსტრუქტორების გადინება

პარტნიორი კომპანიებიდან ადგილი აქვს ინსტრუქტორთა გადინებას. თუმცა ამ ეტაპზე რაოდენობის შემცირება გავლენას ვერ მოახდენს სწავლების ხარისხზე. მაგრამ თუკი 2021 წელს კომპანიები მიიღებენ გადაწყვეტილებას მიიღონ დუალურ პროგრამებზე სტუდენტები, გადასახადი იქნება ინსტრუქტორთა ბაზა.

გამოწვევა 4- დისტანციურ სწავლებაში პროფესიულ სტუდენტთა ჩართვის შეფერხება (IT ტექნოლოგიებზე წვდომის შეზღუდვა)

პრობლემის გადაჭრა - პროფესიულ სტუდენტთა ნაწილს არ ჰქონდა დისტანციურად სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა და იქ სადაც იყო სწავლების კომპიუტერით წარმართვის აუცილებლობა (IT პროგრამები და სხვ), განხორციელდა სტუდენტთა შესაბამისი ტექნიკით უზრუნველყოფა (მიღება - ჩაბარების აქტებით).

გამოწვევა 5- პროფესიული სტუდენტების სასწავლო რესურსის უზრუნველყოფა

პრობლემის გადაჭრა - საჭირო გახდა პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო რესურსის მიწოდება და იქ სადაც რესურსი წარმოდგენილი იყო მატერიალური ფორმატით დაიწყო მათი გაციფრულების პროცესი.

მიზანშეწონილია 2021 წლიდან კოლეჯმა დაიწყოს სასწავლო რესურსების ეტაპობრივი გაციფრულების პროცესი.

გამოწვევა 6 - დისტანციური სწავლების პირობებში პროგრამების სასწავლო გეგმებით წარმართვის შეფერხება

პრობლემის გადაჭრა - დისტანციური სწავლების პირობებში პროგრამების სასწავლო გეგმებით ყველა შემთხვევაში ვერ განხორციელდებოდა სწავლება. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული სასწავლო ჯგუფისთვის, დუალური პროგრამების შემთხვევაში კი ცალკეულ კომპანიებში განაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის, შემუშავდა და დამტკიცდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მათი მეშვეობით წარიმართა სასწავლო პროცესი.

გამოწვევა 7 - შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების შეფერხება

პანდემიამ გაახანგრძლივა პროფესიულ სტუდენტთა სწავლების ხანგრძლივობა მათ შორის, გადასახედია შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების პერიოდები.

გამოწვევა 8 - დისტანციური სწავლების პირობებში სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის შესაძლებლობა

არ არის გამორიცხული, რომ დისტანციური სწავლების პირობებში ვერ იქნას უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა, ამიტომ აუცილებელია კოლეჯში სასწავლო პროცესის განახლების შემდეგ განმსაზღვრელ შეფასებებამდე ჩატარდეს კონსულტაციები და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მეცადინეობები.

1.4 ინფორმაცია 2020 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის თაობაზე

2020 წლიდან პროფესიული ტესტირების დებულებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე კოლეჯში ჩარიცხვა განხორციელდება წელიწადში მხოლოდ ერთჯერ.

2020 წელს კოლეჯმა მიღება გამოაცხადა 10 პროგრამაზე და ყველა პროგრამა შევსებულია გამოცხადებული კვოტის ფარგლებში:

1. სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული) – 15 პროფესიული სტუდენტი

2. კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული) – 20 პროფესიული სტუდენტი
3. კონდიტერია (მოდულური) - 14 პროფესიული სტუდენტი
4. კულინარიის ხელოვნება (მოდულური) - 15 პროფესიული სტუდენტი
5. სამკერვალო წარმოება - 15 პროფესიული სტუდენტი
6. მშენებლობის წრამოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები - 15 პროფესიული სტუდენტი
7. ელექტროობა - 17 პროფესიული სტუდენტი
8. ინფორმაციის ტექნოლოგია - 20 პროფესიული სტუდენტი
9. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება - 20 პროფესიული სტუდენტი
10. ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი - 14 პროფესიული სტუდენტი (კვოტა იყო 15)

დუალურ პროგრამებთან დაკავშირებით ტურიზმის მიმართულების პროგრამებთან დაკავშირებით არ არსებობდა პარტნიორთა მზაობა. პროგრამის განხორციელების მზაობა გამოიხატა მხოლოდ „ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟის“ პროგრამის ფარგლებში სამშენებლო კომპანია „ანაგის“ მიერ.

1.5 ინფორმაცია 2020 წელს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხული მსმენელებისა და კურსდამთავრებულების თაობაზე

2020 წელს დასრულდა შემდეგი პროგრამები:

- ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე - 23 კურსდამთავრებული
- კერამიკული ფილის დაგება (პროფესიული მომზადება) - 8 კურსდამთავრებული
- საოჯახო სასტუმროს მომსახურების სერვისი - (პროფესიული მომზადება) – 12 კურსდამთავრებული
- მასპინძლობის სერვისი ღვინის მარანში - (პროფესიული მომზადება) – 15 კურსდამთავრებული

2020 წელს კოლეჯში პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სწავლება შეფერხებით წარიმართა.

სასწავლო პროცესი შეჩერებულია შემდეგ პროგრამებზე:

- ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე - 19 მსმენელი
- კერძების მომზადების ტექნოლოგია (პროფესიული გადამზადება) - 12 მსმენელი

კოლეჯმა 2020 წლის ბოლოს მოიპოვა დაფინანსება 2021 წელს განსახორციელებელი სამი პროგრამისათვის:

- კერძების მომზადების ტექნოლოგია (პროფესიული მომზადება) - 15 მსმენელი;
- ბარის ორგანიზება და ფუნქციონირება (პროფესიული მომზადება) – 15 მსმენელი;
- ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია (პარტნიორი სამკერვალო ფაბრიკა „ბათუმი ტექსი“ „ფასთ თრეჟ ტექსტილე“).

II - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მოზიდვა

2020 წელს პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვა ძირითადად განხორციელდა სოციალური მედიის საშუალებით. პანდემიის პერიოდში აქტიურად ხდებოდა ინფორმაციის ვებ - გვერდსა და ფეისბუკ - გვერდზე განთავსება.

2020 წლის დასაწყისში „საქართველოს წითელი ჯვრის ორგანიზაციასთან“ ერთად დაიწყო საპროფორიენტაციო კურსის განხორციელება, რომლის ფარგლებში ხორციელდებოდა სამი ძირითადი აქტივობა:

1. ინფორმაციის მიწოდება პროფესიული განათლების შესახებ
2. პანელური დისკუსია წარმატებულ კურსდამთავრებულებთან
3. პროფესიული მოსინჯვა სხვადასხვა პროფესიების ფარგლებში.

პანდემიის დროს ფორმატს გამოაკლდა მესამე აქტივობა და შეხვედრები გაგრძელდა zoom პლატფორმის საშუალებით ჯამში საპროფორიენტაციო კურსებში ჩაერთო 200-მდე პირი.

პანდემიის დროს მომზადდა ვიდეორგოლი, რომლის საშუალებით კოლეჯში სწავლის მსურველებს ჰქონდათ კოლეჯის ვირტუალურად დათვალიერების საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის შესაძლებლობა.

კოლეჯი „ბლექსი“ პერიოდულად ახორციელებს საკონსულტაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან. რადგანაც COVID – 19 გამო დროებით შეჩერებული იყო ვიზიტები ქალაქის ხალხმრავალ ადგილებში, ინფორმაციის გავრცელების მიზნით, დაიგეგმა ალტერნატიული პიარ აქტივობების განხორციელება:

- რადიო „ციტრუსში“ 20 წამიანი აუდიო რგოლის განთავსება 1 თვის განმავლობაში;
- ფეისბუქ გვერდზე პოსტერების განთავსება სარეკლამო კომპანია „ჰერეთის“ მხარდაჭერით;
- სოციალურ ქსელში (ფეისბუქი) რეგისტრაციის დაწყებასთან დაკავშირებით პოსტერის დამზადება;

- ინფორმაციების გავრცელების ასეაღის გაფართოება „დაბუსთვის“ მეშვეობით
- SMS - შეტყობინებების დაგზავნა აჭარის ა/რ რეგისტრირებულ მობილურ ნომრებზე;
- მომზადდა ვიდეო რგოლი რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რომელიც შემდგომ განთავსდა აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიის ეთერში.

კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ გადაცემებში:

- გადაცემაში „რადიოვიზია“ თემაზე სასაუბროდ: პროფესიული მომზადება - გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები;
- გადაცემაში "რადიოვიზია" ბარმენტა საერთაშორისო დღე - სსიპ კოლეჯის "ბლექსი" წარმატებული კურსდამთავრებული და ამავდროულად, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი მირიან აბულაძე;
- გადაცემაში "რადიოვიზია" კოლეჯის "ბლექსი" დირექტორი - გიორგი გოგიტიძე და ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი - მანანა კობალაძე თემაზე: პროფესიული მომზადების მოკლევადიანი პროგრამების შესახებ,
- გადაცემაში "კონტაქტი" კოლეჯის "ბლექსი" დირექტორი - გიორგი გოგიტიძე და დირექტორის მოადგილე - მაია თოიძე თემაზე: პროფესიული განათლება - უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ;
- გადაცემაში "კონტაქტი" კოლეჯის "ბლექსი" დირექტორის მოადგილე მაია თოიძე პანელურ დისკუსიაში: როგორ პასუხობს ახალ გამოწვევებს მასწავლებლის პროფესიის მარეგულირებელი ახალი ჩარჩო;
- ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში სტუმრად კოლეჯის დირექტორი გიორგი გოგიტიძე, დასახული გეგმები ახალი მემორანდუმის გაფორმების თაობაზე.
- ადგილობრივი ტელევიზიისათვის კოლეჯის ჩართულობით მომზადდა სიუჟეტი „პროფესიული სწავლება პოსტპანდემიურ პერიოდში“
- გამოქვეყნდა პუბლიკაცია გაზეთში „აჭარა“ კოლეჯის მიერ შუახევის მუნიციპალიტეტში კოლეჯის ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით.

III – კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა

აღნიშნული მიზნის მიღწევის მიმართულებით აქტივობები ხორციელდებოდა წერტილოვნად შრომის ბაზარზე არსებული ვითარების გათვალისწინებით.

განხორციელდა 2019 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის შესწავლა.

2019 წელს კოლეჯი დაასრულა 112 კურსდამთავრებულმა, მათგან 6 თვის მონაცემებით დასაქმებულია იყო 68 კურსდამთავრებული (60.7%). სტატისტიკაში მოცემულია ინფორმაცია დასაქმებასთან/თვითდასაქმებასთან დაკავშირებით და არ არის გათვალისწინებული შეჩერებული ეკონომიკური საქმიანობის პერიოდში დასაქმებულებთან ხელშეკრულებების შეჩერება/შეწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს გადაიხედა და შეიქმნა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევის ახალი ინსტრუმენტები, კვლევის მეთოდოლოგიით.

IV – რესურსების განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა

2020 წელს კოლეჯმა განახორციელა შესყიდვების განხორციელება იმ პროგრამების ფარგლებში, რომლებზეც განხორციელდა მიდგომების შეცვლა: კონდიტერია, სასტუმრო მომსახურება და კომპიუტერული ქსელი და სისტემები.

კოლეჯში გარემონტდა და სრულიად ახალი მატერიალურ - ტექნიკური ბაზით აღიჭურვა „კონდიტერიის“ მოდულური პროგრამა. „სასტუმრო მომსახურებისა“ და „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამებისთვის კი შესყიდული იქნა აღჭურვილობა ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“.

ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობები 2020 წელს განხორციელდა ადამიანური რესურსების მოზიდვისა და განვითარების მიმართულებით. კერძოდ:

1. 2020 წელს კონდიტერიის მოდულური პროგრამისათვის კონკურსის წესით შეირჩა ორი დარგის სპეციალისტი. ასევე, კონკურსი ჩატარდა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მოდულური პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევის მიზნით და შეირჩა პროფესიული განათლების მასწავლებლები:
2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელთა შერჩევის მიზნით კონკურსის წესით შეირჩა კანდიდატები, რომელთაც გაიარეს შესაბამისი ტრენინგები და ჯამში ამ მოდულებზე კოლეჯს ჰყავს 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი.
3. ადამიანური რესურსის განვითარების მიზნით ადმინისტრაციის წევრებისათვის ჩატარდა ტრენინგი „ხარისხის უზრუნველყოფა ISO 9001-ის მიხედვით“.
4. „გაეროს განვითარების პროგრამის“ ENPARD -3 პროექტის ფარგლებში ტურიზმისა და მშენებლობის მიმართულებით დასრულდა ტრენინგები სასტუმრო მომსახურების, საოჯახო სასტუმროს მომსახურების, ელექტროობის, შედუღების, რკინა - ბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის პროფესიებისათვის შერჩეული მასწავლებლობის კანდიდატებისათვის. ჩატარდა ტრენინგები

დარგობრივ კომპეტენციებსა და სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში. ტრენინგები ჯამში გაიარა 11 პირმა.

5. „გაეროს განვითარების პროგრამის“ პროექტის ENPARD- 3 ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი „პროფესიული განათლების მენეჯმენტი“. ტრენინგის ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი საკითხები:
 - სიახლეები და გამოწვევები პროფესიული განათლების სისტემაში
 - კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება
 - ხარისხის მენეჯმენტი - ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მაგალითზე
 - პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები
 - ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება
 - მატერიალური და ფინანსური რესურსები
6. „გაეროს განვითარების პროგრამის“ საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლებისა და ტრენინგის (VET) სისტემის მოდერნიზაცია (VET-ის მეორე ეტაპი) ფაზის ფარგლებში აგრარული მიმართულებით კონკურსის წესით შერჩეული იქნა მასწავლებლობის კანდიდატები შემდეგი პროფესიებისათვის: მეფუტკრეობა (3 კანდიდატი), ვეტერინარია (5 კანდიდატი), მევენახეობა, მებოსტნეობა, მემცენარეობა, მეხილეობა (7-7 კანდიდატი).
7. ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის ჩატარდა 7 ტრენინგი დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით (თეორიული კომპონენტი) ტრენინგი „სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება ონლაინ ფორმატში“. ტრენინგი გაიარა 36 პირმა.
8. ჩატარდა ტრენინგი მეწარმეობაში. ტრენინგი გაიარა 20 პირმა (ადმინისტრაცია და პროფესიული განათლების მასწავლებლები).
9. ტრენინგი - „პროფესიული უნარების განვითარება - დისტანციური სწავლება ელექტრონული სასწავლო პლატფორმების გამოყენებით“ – 5 დღიანი ტრენინგი კოლეჯის პედაგოგებისათვის;
10. „ტრენინგი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში“ – 11 პედაგოგისთვის (10 დღიანი ტრენინგი);

ხარისხის უზრუნველყოფა

2020 წელს დამტკიცდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი რეგულაციები, რომლის საფუძველზეც კოლეჯი შესაბამისობაში მოვიდა ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან (სრული, მეტწილი ან ნაწილობრივი შესაბამისობა)

2020 წელს კოლეჯმა დადგენილი წესის მიხედვით განხორციელა თვითშეფასება ავტორიზაციის ყველა სტანდარტის მიხედვით. მათ შორის, ცალკეულ სტანდარტებთან მიმართებით შემუშავდა შესაბამისობის გეგმები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 2020 წელს თანამშრომელთა მიერ გაანალიზდა საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები. იდენტიფიცირდა კონკრეტული მოვალეობები, რომელთა განხორციელების აუცილებლობა შექმნა ავტორიზაციის ახალმა სტანდარტებმა და თანამდებობებიდან გამომდინარე განხორციელდა მათი თანამშრომელთა სამსახურებრივ ინსტრუქციებში ასახვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა რომ კოლეჯმა შეიმუშავა ცალკეული რეგულაციები და დაწყებულია მათი დანერგვა გაცნობიერებული გვაქვს მათი გაუმჯობესების აუცილებლობა და ეს აუცილებლად განხორციელდება მათი დანერგვის შემდეგ შედეგების ანალიზის და შეფასების საფუძველზე.